“სსრ კავშირის თასის” გათამაშება ფეხბურთში
თბილისის “დინამომ” დაამარცხა მოსკოვის “დინამო”

გუშინ, 11 ოქტომბერს, მოსკოვში “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მეორე მეოთხედფინალური მატჩი “სსრ კავშირის თასზე” ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მოსკოვის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. აღნიშნული გუნდები “თასის” გათმაშებაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ მეორედ. პირველად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 1937 წელს “თასის” გათამაშების ფინალურ მატჩში. მაშინ გამარჯვება წილად ხვდათ მოსკოველებს, ანგარიშით 5:2. სხვა შედეგი მოჰყვა გუშინდელ შეხვედრას.

მატჩი ჩატარდა არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით. მე–14 წუთზე თბილისის “დინამოს” ცენტრფორვარდმა ბორის პაიჭაძემ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ამ მარცხს მოსკოველებმა მძლავრი კონტრიერიშებით უპასუხეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოუტანია.

თამაშის მეორე ნახევრის მე–3 წუთზე ბერეჟნოიმ ბორის პაიჭაძისაგან მოწოდებული ბურთი თავური გარტყმით გაიტანა მოსკოველთა კარში. 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ. მოსკოველები კიდევ უფრო მეტი ენერგიით ეკვეთნენ თბილისელთა კარს და კარცევმა კიდევაც შესძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. იერიშები თბილისელთა კარზე არ ცხრებოდა, მაგრამ თბილისელმა მცველებმა, რომელთა შორის დაუღალავი თამაშით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარმცველი გ. გაგუა, წარმატებით მოიგერიეს ყველა იერიში. მატჩი დამთავრდა თბილისის ”დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ამრიგად, თბილისის “დინამოს” გუნდი გავიდა ნახევარფინალში, რომელიც შესდგება 15 ოქტომბერს. თბილისელთა წინააღმდეგ ითამაშებს მოსკოვის “ტორპედო”.

ა. გოგოლაშვილი.
12 ოქტომბერი, 1946 წ.